



პრიმომ

კლუბისგან

ავტოდაზღვევის წესები #ELD/R- 001/26

Elite Drive



სარჩევი

პრეამბულა	4
I სექცია - სადაზღვევო დაფარვა: ავტოტრანსპორტის დაზიანება/გაძარცვა/დაკარგვა	4
1.1. სადაზღვევო დაფარვა	4
1.2. სადაზღვევო დაფარვის მოქმედება სპეციფიკურ შემთხვევებში	5
1.3. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა	6
II სექცია - სადაზღვევო დაფარვა: პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე	8
2.1. სადაზღვევო დაფარვა	8
2.2. სადაზღვევო ანაზღაურება	10
III სექცია - სადაზღვევო დაფარვა: მგზავრებისა და მძღოლის დაზიანება	12
3.1. სადაზღვევო დაფარვა	12
3.2. სადაზღვევო ანაზღაურება	13
IV სექცია - ზოგადი გამოწვევები	14
V სექცია - თქვენი და ჩვენი ქმედებები სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას .	16
5.1. თქვენი ქმედებები	16
5.2. თქვენ მიერ მოსაწოდებელი დოკუმენტები.....	18
5.3. დაზიანებული ავტოტრანსპორტის ევაკუაცია.....	20
5.4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა.....	20
5.5. საკუთრების უფლების გადმოცემა	22
5.6. სუბროგაცია.....	23
5.7. სადაზღვევო აქტი	23
5.8. უარი სადაზღვევო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე	23
VI სექცია - ზოგადი დებულებები	23
6.1. დაზღვევის ხელშეკრულება	24
6.2. ხელშეკრულების/დაზღვევის მოქმედების ვადა.....	25
6.3. პრემიის გადახდის ვალდებულება.....	25
6.4. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა	25
6.5. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება	28
6.6. დავების განხილვის წესი	29
6.7. კონფიდენციალურობა.....	29

6.8. შეტყობინების გაგზავნა.....	29
VII სექცია - ტერმინები და მათი განმარტებები	30
7.1. ზოგადი ტერმინები	30
7.2. I სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები	33
7.3. II სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.....	34
7.4. III სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.....	34

პრეამბულა

წინამდებარე წესები იძენს იურიდიულ ძალას მხოლოდ მაშინ, როდესაც იდება ამ წესებზე დაფუძნებული **დაზღვევის ხელშეკრულება** და ამის დასტურად **ჩვენ** მიერ გაიცემა **დაზღვევის პოლისი**.

ხსენებული **დაზღვევის ხელშეკრულების** დადების შემთხვევაში:

- წინამდებარე წესები, მათში შეტანილი ცვლილებების ამსახველი „ცვლილებების დამადასტურებელი დანართები“ (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და **ჩვენ** მიერ გაცემული **პოლისი** და „პოლისის დანართები“ (ასეთების არსებობის შემთხვევაში) არეგულირებს დადებული **ხელშეკრულების** მხარეებს შორის წარმოქმნილ ურთიერთობებს;
- **დაზღვევის** მიერ ამ **ხელშეკრულების** ფარგლებში შეთანხმებული **პრემიის** გადახდის სანაცვლოდ, **მზღვეველი** იღებს პასუხისმგებლობას, ამ წესებში მოყვანილი დებულებების, დათქმების, პირობებისა და გამონაკლისების, ისევე როგორც, გაცემული „ცვლილებების დამადასტურებელი დანართების“ თუ „პოლისის დანართების“ (ასეთების არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით, აანაზღაუროს **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული ზარალი.

I სექცია - სადაზღვევო დაფარვა: ავტოტრანსპორტის დაზიანება/გაძარცვა/დაკარგვა

1.1. სადაზღვევო დაფარვა

1.1.1 დაფარვის ტერიტორია. I სექციის დაფარვა ავტომატურად მოქმედებს მთელ საქართველოს ტერიტორიაზე და **თქვენი** სურვილის შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზეც, რისთვისაც ჩვენ შორის უნდა შედგეს შესაბამისი შეთანხმება დადასტურებული სათანადო „ცვლილებების დამადასტურებელი დანართით“.

ქვემოთ მოცემულ 1.1.2 – 1.1.5, ასევე, 1.2 და 1.3 პუნქტებში აღწერილი სადაზღვევო დაფარვა და **სადაზღვევო ანაზღაურების** დადგენის წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა **დაფარვის ტერიტორია** არის საქართველო.

1.1.2 სადაზღვევო შემთხვევა. ამ სექციის ფარგლებში მოქმედებს ყველა რისკის დაფარვა. **სადაზღვევო შემთხვევად** შეიძლება აღიარებულ იქნას ისეთი და მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში, **დაფარვის ტერიტორიაზე**, **გარეგანი ზემოქმედების** შედეგად მოხდება **დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანება/ნაწილობრივი გაძარცვა/სრული კონსტრუქციული განადგურება/სრული გაძარცვა** ან ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად მისი დაკარგვა. თუ ხსენებული **ნაწილობრივი დაზიანება/სრული კონსტრუქციული განადგურება** მოხდება **ავტოსაგზაო შემთხვევის** შედეგად, ასეთი დაზიანება თუ განადგურება შეიძლება აღიარებულ იქნას **სადაზღვევო შემთხვევად** მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა **ავტოსაგზაო შემთხვევის** დროს **დაფარულ ავტოტრანსპორტს**

მართავდა დაფარული მძღოლი ან დამზღვევი, რომელსაც გააჩნია სათანადო მართვის მოწმობა და ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტი სატრანსპორტო მართვის უფლება არ აქვს შეჩერებული.

1.1.3 სადაზღვევო თანხა და მისი აღდგენა. სადაზღვევო თანხა რაოდენობრივად უდრის დაფარული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას დაზღვევის მომენტში, რომელიც თქვენ მიუთითეთ განაცხადში.

ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ, როცა დაფარული ავტოტრანსპორტი ნაწილობრივად დაზიანებული/ნაწილობრივად გაძარცვული და სადაზღვევო ანაზღაურება ნაკლებია სადაზღვევო თანხაზე, მოხდება სადაზღვევო თანხის მყისიერი, ავტომატური აღდგენა საწყის მნიშვნელობამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდგომი სადაზღვევო შემთხვევის დროს სადაზღვევო დაფარვა იმოქმედებს კვლავ სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

1.1.4 სრული კონსტრუქციული განადგურების აღიარების კრიტერიუმი. ჩაითვლება, რომ დაზიანებული ავტოტრანსპორტი არის სრულად კონსტრუქციულად განადგურებული, თუ:

- აღდგენის ღირებულება შეადგენს მისი უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენამდე არსებული სადაზღვევო ღირებულების 70%-ს ან მეტს (თუ ჩვენს შორის არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება, რომელიც ასახულია პოლისში)

ან

- არსებობს შესაბამისი დასკვნა იმის თაობაზე, რომ დაფარული ავტოტრანსპორტის აღდგენა კონსტრუქციულად არ არის გამართლებული ან იმის თაობაზე, რომ აღდგენის შემთხვევაში დაფარული ავტოტრანსპორტის გამოყენება უსაფრთხო არ იქნება.

1.1.5 სრული გაძარცვის აღიარების კრიტერიუმი. ჩაითვლება, რომ დაფარული ავტოტრანსპორტი არის სრულად გაძარცვული თუ ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად დაკარგული ნაწილების ჯამური ღირებულება მათი დამონტაჟების ღირებულებასთან ერთად შეადგენს დაფარული ავტოტრანსპორტის უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენამდე არსებული სადაზღვევო ღირებულების 70%-ს ან მეტს (თუ ჩვენს შორის არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება, რომელიც ასახულია პოლისში).

1.2. სადაზღვევო დაფარვის მოქმედება სპეციფიკურ შემთხვევებში

1.2.1 თუ დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანების შედეგად დაზიანებული ნაწილ(ებ)ი ექვემდებარება აღდგენას, ჩვენ ავანაზღაურებთ აღდგენის ღირებულებას. თუმცა, თუ ხსენებული ნაწილები აღდგენას არ ექვემდებარება, ჩვენ ავანაზღაურებთ ახალი, ორიგინალი ნაწილ(ებ)ით ჩანაცვლების ღირებულებას. ამასთან, დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი გაძარცვის დროს, ჩვენ ავანაზღაურებთ დაფარული ავტოტრანსპორტის ახალი, ორიგინალი ნაწილ(ებ)ით აღდგენას.

1.2.2 თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, დაფარულ ავტოტრანსპორტს დაუზიანდა საბურავის დისკი ისე, რომ შესაძლებელია მისი აღდგენა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაცია, ჩვენ ავანაზღაურებთ საბურავის დისკის აღდგენის ხარჯებს.

1.2.3 დაფარული ავტოტრანსპორტის საბურავ(ებ)ის დაზიანება იფარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბურავ(ებ)ი დაზიანდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად და მასთან (მათთან) ერთად, ხსენებული ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, ასევე დაზიანდა დაფარული ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილ(ებ)იც.

1.2.4 რომელიმე ბრენდის/კომპანიის/მარკის ნიშნის, გაუმჯობესებული დეტალის/ შეფუთვის, დამატებითი კომპლექტაციის ან სხვა აქსესუარის დაზიანება იფარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაუმჯობესებული დეტალი/შეფუთვა, დამატებითი კომპლექტაცია ან სხვა აქსესუარი დეკლარირებული იყო დაზღვევის განაცხადში. ასეთი დეკლარაციის არ არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურდება ისეთი დეტალის/აქსესუარის ღირებულება, რომელიც შედის დაფარული ავტოტრანსპორტის სტანდარტულ კომპლექტაციაში და ასრულებს დაზიანებული დეტალის/აქსესუარის მსგავს ფუნქციებს (თუ სტანდარტული კომპლექტაცია ითვალისწინებს ამგვარი დეტალის/აქსესუარის არსებობას).

1.2.5 ტექნიკური მომსახურების განვვისას, ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე ან სხვა შემთხვევაში, როდესაც მომსახურების მიწოდების ტერიტორიაზე დაფარულ ავტოტრანსპორტს მართავს მომსახურების მიმწოდებლის თანამშრომელი, ასევე მოქმედებს ყველა რისკის დაფარვა, თუმცა არ იფარება დაფარული ავტოტრანსპორტის დაზიანება გამოწვეული მომსახურების მიმწოდებლის პროფესიული შეცდომით. ამასთან, მომსახურების მიწოდების ტერიტორიაზე დაფარული ავტოტრანსპორტის გადაადგილების დროს მისი დაზიანება დაიფარება იმ შემთხვევაშიც, როცა მას მართავდა სათანადო მართვის მოწმობის მქონე პირი (რომელსაც მართვის უფლება არ აქვს შეჩერებული), რომლის ასაკიც არ აკმაყოფილებს პოლისში მითითებულ ასაკობრივ შეზღუდვას.

1.3. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა თქვენ/დაფარულმა მძღოლმა უნდა იმოქმედოთ წინამდებარე წესების V სექციაში აღწერილი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

თქვენი სადაზღვევო მოთხოვნის განხილვის/დარეგულირების პირველ ეტაპზე ჩვენ ვიღებთ გადანყვეტილებას იმაზე იფარება თუ არა, ჩვენსა და თქვენს შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით, მომხდარი შემთხვევა. დადებითი გადანყვეტილების შემთხვევაში, სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევას ენიჭება სადაზღვევო შემთხვევის სტატუსი და ჩვენ წარმოგვექმნება პასუხისმგებლობა თქვენ მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურებაზე. შემდეგ ეტაპზე ხდება გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენა ისე, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი.

1.3.1 დაფარული ავტოტრანსპორტის დაკარგვა ან მისი სრული კონსტრუქციული განადგურება/სრული გაძარცვა. ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად, დაფარული ავტოტრანსპორტის დაკარგვის, ასევე მისი სრული კონსტრუქციული განადგურების/სრული გაძარცვის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაუტოლდება დაფარული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებას უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენამდე ან სადაზღვევო თანხის 110%-ს, იმისდა მიხედვით, თუ ამ სიდიდეთაგან რომელია უმცირესი.

დროის მოცემულ მომენტში **დაფარული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებად** მიიჩნევა:

- **დაფარული ავტოტრანსპორტის** მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის ღირებულება ადგილობრივ ბაზარზე დროის ამ მომენტში, იმ შემთხვევაში, თუ ამ ბაზარზე ასეთი ავტოტრანსპორტი ივაჭრება სტატისტიკური დასკვნის გამოტანისთვის საჭირო რაოდენობით; ან
- **დაფარული ავტოტრანსპორტის** მახასიათებლებთან მაქსიმალურად მიახლოებული მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის ღირებულება ადგილობრივ ბაზარზე დროის ამ მომენტში, იმ შემთხვევაში, თუ ამ ბაზარზე **დაფარული ავტოტრანსპორტის** ზუსტი მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტი არ ივაჭრება სტატისტიკური დასკვნის გამოტანისთვის საჭირო რაოდენობით.

თქვენსა და ჩვენს შორის დაფარული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებასთან დაკავშირებით შეუთანხმებლობის შემთხვევაში, **სადაზღვევო ღირებულებად** მიიჩნევა შეფასება, რომელსაც წარმოგვიდგენს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტი-იურიდიული/ფიზიკური პირი.

1.3.2 დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანება/ნაწილობრივი გაძარცვა. **დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანების/ნაწილობრივი გაძარცვის** შემთხვევაში, **სადაზღვევო ანაზღაურება** გაუტოლდება უმცირესს დაზიანებული ავტოტრანსპორტის **აღდგენის ღირებულებასა და სადაზღვევო თანხას** შორის.

ამასთან:

- თუ **დაფარული ავტოტრანსპორტი** იმყოფება საქართველოში არსებული ავტორიზებული სერვის ცენტრის სრულ საგარანტიო მომსახურებაზე და **თქვენ** გსურთ მისი აღდგენა ხსენებულ ცენტრში, მისი **აღდგენის ღირებულებად** მიიჩნევა ამ სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ღირებულება, რომელიც სათანადოდ გაფორმებულ ინვოისში არის მითითებული.
თუმცა, თუ **თქვენ** გსურთ დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღდგენა სხვა სერვის ცენტრში, უნდა წარმოგვიდგინოთ სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ამ სერვის ცენტრის მიერ შეფასებული **აღდგენის ღირებულება**. ასეთ შემთხვევაში, **ჩვენ** უფლებას ვიტოვებთ მივიღოთ მსგავსი შეფასება **ჩვენ** მიერ შერჩეული სერვის ცენტრიდან ან **ჩვენ** მიერ განსაზღვრული კომპეტენტური პირისგან და დავადგინოთ **აღდგენის ღირებულება**, როგორც **თქვენ** მიერ წარმოდგენილ, ასევე, **ჩვენ** მიერ მოპოვებულ შეფასებებზე დაყრდნობით. ამასთან, **ჩვენ** განვიხილავთ და მხედველობაში მივიღებთ **თქვენ** მიერ წარმოდგენილ შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს შეფასება გაკეთებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სერვის ცენტრის მიერ;
- თუ **დაფარული ავტოტრანსპორტი** არ იმყოფება საქართველოში არსებული ავტორიზებული სერვის ცენტრის სრულ საგარანტიო მომსახურებაზე, დაზღვევის მომენტში **ჩვენ** შემოგთავაზებთ, **თქვენთან** შევათანხმებთ და **პოლისში** დავაფიქსირებთ მაღალი დონის სერვის ცენტრების ჩამონათვალს, რომლებშიც შესაძლებელი იქნება დაზიანებული **დაფარული ავტოტრანსპორტის** აღდგენა. **თქვენი სადაზღვევო მოთხოვნის** დარეგულირების პროცესში, **დაფარული ავტოტრანსპორტის**

მახასიათებლებიდან და მის მიერ მიღებული დაზიანების ხასიათიდან გამომდინარე, ავტოტრანსპორტი აღდგენილი იქნება **პოლისში** მითითებული ჩამონათვალიდან **ჩვენს** მიერ ოპტიმალურად შერჩეულ სერვის ცენტრში. შესაბამისად, **აღდგენის ღირებულებად** მიიჩნევა ამ სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ღირებულება, რომელიც სათანადოდ გაფორმებულ ინვოისში არის მითითებული.

თუმცა, თუ **თქვენ** გსურთ დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღდგენა სხვა სერვის ცენტრში, რომელიც არ შედის **პოლისში** მითითებული სერვის ცენტრების ჩამონათვალში, უნდა წარმოგვიდგინოთ სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ამ სერვის ცენტრის მიერ შეფასებული **აღდგენის ღირებულება**. ასეთ შემთხვევაში, **ჩვენ** უფლებას ვიტოვებთ მივიღოთ მსგავსი შეფასება **ჩვენ** მიერ შერჩეული სერვის ცენტრიდან ან **ჩვენ** მიერ განსაზღვრული კომპეტენტური პირისგან და დავადგინოთ **აღდგენის ღირებულება**, როგორც **თქვენ** მიერ წარმოდგენილ, ასევე, **ჩვენ** მიერ მოპოვებულ შეფასებებზე დაყრდნობით. ამასთან, **ჩვენ** განვიხილავთ და მხედველობაში მივიღებთ **თქვენ** მიერ წარმოდგენილ შეფასებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს შეფასება გაკეთებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სერვის ცენტრის მიერ.

II სექცია - სადაზღვევო დაფარვა: პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე

2.1. სადაზღვევო დაფარვა

2.1.1. დაფარვის ტერიტორია. II სექციის დაფარვა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

2.1.2. სადაზღვევო შემთხვევა. ამ სექციის ფარგლებში, **სადაზღვევო შემთხვევად** შეიძლება აღიარებულ იქნას **დამზღვევის/დაფარული მძღოლის**, ასევე, **დაფარული ავტოტრანსპორტის** მესაკუთრის ან მგზავრის სამოქალაქო პასუხისმგებლობა წარმოქმნილი იმის და მხოლოდ იმის გამო, რომ **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში, **დაფარვის ტერიტორიაზე**:

- **დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის** შედეგად ზიანი მიადგა **დაფარული მესამე პირ(ებ)ის** სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ანდა მის (მათ) მატერიალურ ქონებას;
- **დაფარული მესამე პირ(ებ)ის** სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ანდა მის (მათ) მატერიალურ ქონებას ზიანი მიადგა იმის შედეგად, რომ, მაშინ როცა არ ხდებოდა **დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაცია**, იგი თვითნებურად დაგორდა ან ააღდა/აფეთქდა;
- **სხვა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის** შედეგად, როცა მისი მძღოლის ფუნქციას ასრულებს სათანადო უფლებამოსილებისა და მართვის მოწმობის მქონე **დამზღვევი** (რომელსაც მართვის უფლება არ აქვს შეჩერებული), ზიანი მიადგა **დაფარული მესამე პირ(ებ)ის** სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ანდა მის (მათ) მატერიალურ ქონებას.

2.1.3. ვინ არ არის დაფარული მესამე პირი

იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა მოხდა დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის (ან მისი თვითნებურად დაგონების თუ აალების/აფეთქების) შედეგად, დაფარულ მესამე პირებს არ წარმოადგენენ დაფარული ავტოტრანსპორტის მგზავრები (მაშინაც, როცა სხდებიან ავტოტრანსპორტში ან გადმოდიან ავტოტრანსპორტიდან).

იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა მოხდა მაშინ, როცა დამზღვევი ასრულებდა სხვა ავტოტრანსპორტის მძღოლის ფუნქციას, დაფარულ მესამე პირებს არ წარმოადგენენ:

- დაფარული ავტოტრანსპორტის დაფარული მძღოლი და მგზავრები (მაშინაც, როცა სხდებიან ავტოტრანსპორტში ან გადმოდიან ავტოტრანსპორტიდან);
- სხვა ავტოტრანსპორტის მგზავრები - მხოლოდ ქონებრივ ზიანის მიყენებასთან მიმართებაში (მაშინაც, როცა სხდებიან ავტოტრანსპორტში ან გადმოდიან ავტოტრანსპორტიდან).

2.1.4. სადაზღვევო დაფარვის მოქმედება სხვა ავტოტრანსპორტთან მიმართებაში

თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდება სხვა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად, როცა მისი მძღოლის ფუნქციას ასრულებს დამზღვევი, რაც გამოიწვევს მესამე პირ(ებ)ისთვის ზიანის მიყენებას და შესაბამისი ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ იფარება ასეთი შემთხვევის მოხდენის მომენტისთვის მოქმედი ნებისმიერი სხვა დაზღვევის ხელშეკრულებით, წინამდებარე დაზღვევა მოიაზრება როგორც მეორეული/დამატებითი. ანუ, ამ დაზღვევის ფარგლებში, მისი ყველა პირობის გათვალისწინებით, ანაზღაურდება მხოლოდ სხვაობა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზარალსა და ხსენებული სხვა დაზღვევის პირობებით უზრუნველყოფილ ჯამურ ანაზღაურებას შორის (თუ ეს სხვაობა დადებითია), მიუხედავად იმისა სხვა დაზღვევის ხელშეკრულებები შეიცავს თუ არა ანალოგიურ დათქმას და ეს დაზღვევები იყო ამოქმედებული სინამდვილეში თუ არა.

2.1.5. სადაზღვევო ლიმიტი და მისი აღდგენა

სადაზღვევო ლიმიტი რაოდენობრივად უდრის თანხას, რომელიც თქვენ აირჩიეთ დაზღვევის განაცხადის შევსებისას.

ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ, მოხდება სადაზღვევო ლიმიტის მყისიერი, ავტომატური აღდგენა საწყის მნიშვნელობამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდგომი სადაზღვევო შემთხვევის დროს სადაზღვევო დაფარვა იმოქმედებს კვლავ სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

2.1.6. სხვა ლიმიტები

ამ პუნქტში განიხილება „ლიმიტი დამზღვევის მიერ სხვა ავტოტრანსპორტის მძღოლის ფუნქციის შესრულების შემთხვევაში“ (პოლისში მოხსენიებული როგორც „დამზღვევის

პერსონალური ლიმიტი“) და “ლიმიტი 21 წლამდე ასაკის ანდა 2 წლამდე მართვის გამოცდილების მქონე პირების მიერ დაფარული ავტოტრანსპორტის მძღოლის ფუნქციის შესრულების შემთხვევაში” (პოლისში მოხსენიებული როგორც „ახალბედა მძღოლების ლიმიტი“). ქვემოთ ჩვენ მათ მოვიხსენიებთ როგორც „სხვა ლიმიტებს“.

„სხვა ლიმიტი“ რაოდენობრივად უდრის თანხას, რომელიც შესაბამისი დასახელებით მითითებულია პოლისში და წარმოადგენს სადაზღვევო ლიმიტის ქველიმიტს, რაც იმას ნიშნავს, რომ:

- „სხვა ლიმიტი“ არ აღემატება სადაზღვევო ლიმიტს;
- კონკრეტული „სხვა ლიმიტის“ შესაბამისი თუ მისგან განსხვავებული დაფარვის ფარგლებში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევა იწვევს სადაზღვევო ლიმიტის შემცირებას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით, რის შემდეგაც იგი მყისიერად და ავტომატურად აღდგება 2.1.5-ის შესაბამისად. ამ დროს, თავად „სხვა ლიმიტი“ უცვლელი რჩება.

2.2. სადაზღვევო ანაზღაურება

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა თქვენ/დაფარულმა მძღოლმა უნდა იმოქმედოთ წინამდებარე წესების V სექციაში აღწერილი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

თუ მომხდარი შემთხვევის შესახებ საჭირო ინფორმაციის სრულად მიღების შემდეგ ჩვენ ვალიარებთ ამ შემთხვევას, როგორც სადაზღვევო შემთხვევას და, შესაბამისად, წარმოგვექმნება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის პასუხისმგებლობა, სადაზღვევო ანაზღაურებამ შეიძლება მოიცვას:

2.2.1. დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;

2.2.2. დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის მოთხოვნების სასამართლოს მიერ ან სასამართლოს გარეთ განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენასთან დაკავშირებული ხარჯები (II სექციის სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ აღნიშნული ხარჯების გაწევა წერილობით იყო ჩვენთან შეთანხმებული;

2.2.3. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაზარალებული პირ(ებ)ისათვის გადასახდელი კომპენსაცია. ამასთან, არანაირი ანაზღაურება არ მოხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც თქვენ ანდა თქვენი წარმომადგენელი, საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, თავად სცნობთ სარჩელს ან მის ნაწილს ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

2.2.4. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაზარალებული მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის გამო გადასახდელი კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობით შეთანხმებულია ჩვენთან და, თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს,

რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით;

2.2.5. დაზარალებული მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაფარვის შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

2.2.5.1. მესამე პირის გარდაცვალების ან მისი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში

ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო გახდა;

ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის, მკურნალობის ხარჯი, საკვები დანამატების/მედიკამენტების/სპეციალური გადაადგილების საშუალების შეძენის ხარჯი, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის ხარჯი, პროფესიული გადამზადების ხარჯი, თუ დადგენილია, რომ აღნიშნული საგნები თუ მომსახურება დაზარალებულს ნამდვილად ესაჭიროება და მას არა აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით).

2.2.5.2. მესამე პირისთვის ქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში

ა) ქონების სრული განადგურების დროს – დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულება (ხელყოფილი ქონების სპეციფიკის შესაბამისად და ცვეთის გათვალისწინებით) და ასევე, გამოყენებისთვის ვარგისი დარჩენილი ნაწილების ღირებულება;

ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების დროს – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მის მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯი.

2.2.6. **სადაზღვევო შემთხვევით** გამოწვეული რამდენიმე პირისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ ჯამურად გასაცემი **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობა აღემატება II სექციის **სადაზღვევო ლიმიტს**, **სადაზღვევო ანაზღაურება** თითოეული დაზარალებულისთვის დაკორექტირდება და დაკორექტირებული ანაზღაურება გაუტოლდება მისთვის გამოთვლილ **სადაზღვევო ანაზღაურებას** შემცირებულს II სექციის **სადაზღვევო ლიმიტის** ჯამურად გასაცემი **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობასთან შეფარდების პროპორციულად.

III სექცია - სადაზღვევო დაფარვა: მგზავრებისა და მძღოლის დაზიანება

3.1. სადაზღვევო დაფარვა

3.1.1. დაფარვის ტერიტორია. III სექციის დაფარვა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

3.1.2. სადაზღვევო შემთხვევა. ამ სექციის ფარგლებში, სადაზღვევო შემთხვევად შეიძლება აღიარებულ იქნას დაზღვევის პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ტერიტორიაზე:

- დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს მასში მყოფი მგზავრების ანდა დაფარული მძღოლის (დამზღვევის, თუ იგი ასრულებს მძღოლის ფუნქციას) გარდაცვალებისა თუ ჯანმრთელობის გაუარესების ისეთი და მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა ასეთი გარდაცვალება თუ ჯანმრთელობის გაუარესება არის დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის ან მასზე რაიმე გარეგანი ზემოქმედების უშუალო შედეგი;
- დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს მასში მყოფი ძაღლის ან კატის ტრავმირების შემთხვევა (თუ საბუთებით დასტურდება, რომ ამ ცხოველების პატრონი არის დამზღვევი ან დაფარული ავტოტრანსპორტის მესაკუთრე), რისი უშუალო მიზეზიც გახდა დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაცია ან მასზე რაიმე გარეგანი ზემოქმედება;
- სხვა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს, როცა სათანადო მართვის მოწმობის მქონე დამზღვევი (რომელსაც მართვის უფლება არ აქვს შეჩერებული) სათანადო უფლებამოსილებით ასრულებს მისი მძღოლის ფუნქციას ან არის მისი მგზავრი, დამზღვევის გარდაცვალებისა თუ ჯანმრთელობის გაუარესების ისეთი და მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა ასეთი გარდაცვალება თუ ჯანმრთელობის გაუარესება არის სხვა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის ან მასზე რაიმე გარეგანი ზემოქმედების უშუალო შედეგი.

3.1.3. სადაზღვევო დაფარვის მოქმედება სხვა ავტოტრანსპორტთან მიმართებაში

თუ დამზღვევის სხვა ავტოტრანსპორტში (როგორც მძღოლის ფუნქციის შემსრულებლის ან როგორც მგზავრის) ყოფნისას მომხდარი სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ იფარება ასეთი შემთხვევის მოხდენის მომენტისთვის მოქმედი ნებისმიერი სხვა დაზღვევის ხელშეკრულებით, წინამდებარე დაზღვევა მოიაზრება როგორც მეორეული/დამატებითი. ანუ, ამ დაზღვევის ფარგლებში, მისი ყველა პირობის გათვალისწინებით, ანაზღაურდება მხოლოდ სხვაობა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზარალსა და ხსენებული სხვა დაზღვევის პირობებით უზრუნველყოფილ ჯამურ ანაზღაურებას შორის (თუ ეს სხვაობა დადებითია), მიუხედავად იმისა სხვა დაზღვევის ხელშეკრულებები შეიცავს თუ არა ანალოგიურ დათქმას და ეს დაზღვევები იყო ამოქმედებული სინამდვილეში თუ არა.

3.1.4. სადაზღვევო ლიმიტი და მისი აღდგენა

სადაზღვევო ლიმიტი რაოდენობრივად უდრის თანხას, რომელიც თქვენ აირჩიეთ დაზღვევის განაცხადის შევსებისას.

ნებისმიერი სადაზღვევო შემთხვევის შემდეგ, მოხდება სადაზღვევო ლიმიტის მყისიერი, ავტომატური აღდგენა საწყის მნიშვნელობამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდგომი სადაზღვევო შემთხვევის დროს სადაზღვევო დაფარვა იმოქმედებს კვლავ სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში.

3.1.5. სხვა ლიმიტები

ამ პუნქტში განიხილება „ლიმიტი დამზღვევის მიერ სხვა ავტოტრანსპორტის მძღოლის ფუნქციის შესრულების ან მგზავრად ყოფნის შემთხვევაში“ (პოლისში მოხსენიებული როგორც „დამზღვევის პერსონალური ლიმიტი“), „ლიმიტი ერთ დაზარალებულზე“ და „ლიმიტი ერთ ცხოველზე“. ქვემოთ ჩვენ მათ მოვიხსენიებთ როგორც „სხვა ლიმიტებს“.

„სხვა ლიმიტი“ რაოდენობრივად უდრის თანხას, რომელიც შესაბამისი დასახელებით მითითებულია პოლისში და წარმოადგენს სადაზღვევო ლიმიტის ქველიმიტს, რაც იმას ნიშნავს, რომ:

- „სხვა ლიმიტი“ არ აღემატება სადაზღვევო ლიმიტს;
- კონკრეტული „სხვა ლიმიტის“ შესაბამისი თუ მისგან განსხვავებული დაფარვის ფარგლებში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევა იწვევს სადაზღვევო ლიმიტის შემცირებას სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით, რის შემდეგაც იგი მყისიერად და ავტომატურად აღდგება 3.1.4-ის შესაბამისად. ამ დროს, თავად „სხვა ლიმიტი“ უცვლელი რჩება.

3.2. სადაზღვევო ანაზღაურება

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა თქვენ/დაფარულმა მძღოლმა უნდა იმოქმედოთ წინამდებარე წესების V სექციაში აღწერილი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. თუ მომხდარი შემთხვევის შესახებ საჭირო ინფორმაციის სრულად მიღების შემდეგ, ამ შემთხვევას ვაღიარებთ, როგორც სადაზღვევო შემთხვევას, ჩვენ წარმოგვექმნება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის პასუხისმგებლობა.

3.2.1. III სექციის ფარგლებში, სადაზღვევო ანაზღაურებამ შეიძლება მოიცვას:

3.2.1.1 თითოეული დაზარალებულის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის ხარჯები, გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები, სტაციონარში ყოფნისა და მკურნალობის ხარჯები. ამასთან

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის და უახლოეს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის ფაქტობრივი ჯამური ხარჯების (რომლებიც დასაბუთებულია სათანადო ქვითრებით/დოკუმენტებით) სადაზღვევო ანაზღაურება

არ უნდა აღემატებოდეს 200 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, გამოთვლილს ანაზღაურების გაცემის დღეს არსებული ოფიციალური კურსის შესაბამისად;

- სტაციონარში ყოფნის, მკურნალობის და უახლოეს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის ჯამური ხარჯების (რომლებიც დასაბუთებულია სათანადო დაკუმენტებით) **სადაზღვევო ანაზღაურება** არ უნდა აღემატებოდეს **ერთ დაზარალებულზე ლიმიტის 20%-ს**.

3.2.1.2. **დაზარალებულის** გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრეებისთვის განკუთვნილი ანაზღაურება, რომელიც გაუტოლდება **ლიმიტს ერთ დაზარალებულზე**. მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში, **ჩვენ** დავფარავთ მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს (**ერთ დაზარალებულზე ლიმიტის ფარგლებში**).

3.2.1.3. ანაზღაურება **დაზარალებულის მიერ სხეულის ნაწილების დაკარგვის** შემთხვევაში, რომლის სიდიდე დგინდება ქვემოთ მოყვანილი საკომპენსაციო ცხრილის მიხედვით, სადაც 100%-ად მიღებულია **ლიმიტი ერთ დაზარალებულზე**:

- ერთი თირკმლის დაკარგვის კომპენსაცია - 40%;
- ერთ ყურში სმენის სრულად და სამუდამოდ დაკარგვის კომპენსაცია - 15%;
- ორივე ყურში სმენის სრულად და სამუდამოდ დაკარგვის კომპენსაცია - 60%;
- ერთი თვალით მხედველობის სრულად და სამუდამოდ დაკარგვა - 30%;
- ორივე თვალით მხედველობის სრულად და სამუდამოდ დაკარგვა - 100%;
- ერთი კიდურის სრულად და სამუდამოდ დაკარგვა - 40%;
- ორივე კიდურის სრულად და სამუდამოდ დაკარგვა - 100%.

სხეულის ნაწილების დაკარგვის დროს გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა მოხდება მკურნალობის მთლიანად დასრულების და დაზიანების ხარისხის საბოლოოდ განსაზღვრის შემდეგ, ხოლო სხეულის ნაწილის ფუნქციის დაკარგვის შემთხვევაში - ასეთი დაკარგვის მომენტიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, თუ ამ დროის განმავლობაში დადასტურდება ფუნქციის სრული, სამუდამოდ დაკარგვა.

3.2.1.4. თითოეული დაზარალებული ცხოველის ვეტერინარულ კლინიკაში გადაყვანის ხარჯები, გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები, ვეტერინარულ კლინიკაში ყოფნისა და მკურნალობის ხარჯები.

3.2.2. თუ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად, რამდენიმე **დაზარალებულის** ჯამური **სადაზღვევო ანაზღაურება** აღემატება **სადაზღვევო ლიმიტს**, **სადაზღვევო ანაზღაურება** ყოველი **დაზარალებულისთვის** დაკორექტირდება და დაკორექტირებული ანაზღაურება გაუტოლდება მისთვის გამოთვლილ **სადაზღვევო ანაზღაურებას** შემცირებულს ხსენებული **სადაზღვევო ლიმიტის** ამ ჯამურ **სადაზღვევო ანაზღაურებასთან** შეფარდების პროპორციულად.

IV სექცია - ზოგადი გამოწვევები

ქვემოთ მოყვანილი გამოწვევები მოქმედებს როგორც I, ასევე II და III სექციების დაფარვებისთვის.

ჩვენ არ ავანაზლაურებთ ქონებრივი დანაკარგით, ქონებრივი თუ ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანით ან პასუხისმგებლობის წარმოქმნით გამოწვეულ არანაირ ზარალს, თუ:

- ასეთი ზარალის წარმოქმნის დროს **დაფარულ/ სხვა ავტოტრანსპორტს ექსპლუატაციას** უწევს ალკოჰოლური, ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი **დამზღვევი** თუ **დაფარული მძღოლი**, მიუხედავად იმისა, ზარალი ხსენებული **დაფარული/სხვა ავტოტრანსპორტის** მძღოლის თუ ვინმე მესამე პირის მიზეზით/ბრალით წარმოიშვა;
- ასეთი ზარალის წარმოქმნის დროს **დაფარული/ სხვა ავტოტრანსპორტი** მონაწილეობს რბოლაში ან სხვა ნებისმიერი სახის შეჯიბრში ან იმყოფება ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვეულებრივ არ გამოიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის;
- ასეთი ზარალის წარმოქმნის დროს ადგილი აქვს საომარ მოქმედებებს, მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა, დაპყრობას, სამოქალაქო ომს, მასობრივ არეულობას, აჯანყებას, დიქტატორულ რეჟიმს, საგანგებო მდგომარეობას, ტერორისტულ აქტს ან ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას, ასევე, სხვა ფორს-მაჟორულ გარემოებებს;
- ასეთი ზარალი წარმოიქმნა სახელმწიფოს სახელით მოქმედი ნებისმიერი ორგანოს/უწყების გადაწყვეტილების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემის, კონფისკაციის ან ჩამორთმევის შედეგად ან ამგვარის მცდელობის დროს;
- ასეთი ზარალი გამოწვეულია ქმედებით, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა გვანიჭებს უფლებას უარი განვაცხადოთ **სადაზღვევო ანაზღაურებაზე**;
- ასეთი ზარალი წარმოიქმნა **დაფარული** თუ **სხვა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის** დროს დაშვებული უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, თუმცა **დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის** დროს ღერძულა ხაზის/BUS LANE-ის გადაკვეთის, დაშვებული სიჩქარის გადაჭარბების თუ შეუნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის შედეგად წარმოქმნილი ზარალი დაიფარება, ოღონდ მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ზარალს არ გამოუწვევია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან მისი **ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება**. ამასთან, **თქვენ** გაქვთ უფლება თავად აირჩიოთ თუ ზემოაღნიშნული უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული კონკრეტულად რომელი ერთი ზარალის დაფარვა გსურთ.

V სექცია - თქვენი და ჩვენი ქმედებები სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

5.1. თქვენი ქმედებები

5.1.1. **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას** (მიუხედავად იმისა, თუ ამ შემთხვევის გამო რომელი სექციის ფარგლებში იქნება წარდგენილი **სადაზღვევო მოთხოვნა**) **თქვენ/დაფარული მძღოლი** ვალდებული ხართ:

5.1.1.1 დაუყოვნებლივ გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- ზიანი მიადგა ადამიანის თუ ცხოველის (გარდა **დაფარულ ავტოტრანსპორტში** მყოფი ცხოველისა) სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ან
- დაზიანდა მესამე პირის კუთვნილი ქონება ან სახელმწიფოს საკუთრება; ან
- **დაფარული ავტოტრანსპორტი** დაზიანდა სხვა ავტოტრანსპორტთან შეჯახების შედეგად.

სხვა შემთხვევაში საპატრულო პოლიციის გამოძახება არ არის სავალდებულო;

5.1.1.2 დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ **ჩვენს** ქოლ-ცენტრს **პოლისში** მითითებულ ნომერზე და აცნობოთ შემთხვევის შესახებ და იმოქმედოთ მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი იქნება გაცემული;

5.1.1.3 მიიღოთ ყველა ზომა, რათა საპატრულო პოლიციისა და **ჩვენი** წარმომადგენლის მოსვლამდე მომხდარი შემთხვევის სურათი მაქსიმალურად უცვლელად შენარჩუნდეს;

5.1.1.4 შესაძლებლობების ფარგლებში, გაგვიწიოთ დახმარება მომხდარი შემთხვევის მიზეზებისა და შედეგების დადგენაში;

5.1.1.5 მიიღოთ ყველა ზომა რათა შეინარჩუნოთ ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის/ბრალეული მხარ(ებ)ის მიმართ რეგრესული მოთხოვნის განხორციელების უფლება (იხ. ასევე პუნქტი 5.6 - სუბროგაცია).

5.1.2. **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას** (რომლის გამოც **სადაზღვევო მოთხოვნა** წარდგენილი იქნება I სექციის ფარგლებში) **თქვენ/დაფარული მძღოლი** ასევე ვალდებული ხართ:

5.1.2.1 სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაუგდებლად, მიიღოთ ყველა შესაძლო და მიზანშეწონილი ზომა **დაფარული ავტოტრანსპორტის** გადასარჩენად, შემდგომი დანაკარგის ან ზიანის თავიდან ასაცილებლად და/ან შესამცირებლად. ასეთი ზომების მიღებისას უნდა იმოქმედოთ **ჩვენი** ინსტრუქციების შესაბამისად, თუ ასეთი გაცემულია;

5.1.2.2 არ დაიწყეთ **დაფარული ავტოტრანსპორტის** შეკეთება, სანამ **ჩვენი** წარმომადგენელი არ დაათვალიერებს ავტოტრანსპორტს და **ჩვენგან** არ მიიღებთ შესაბამის წერილობით დასტურს შეკეთების დაწყებაზე;

5.1.2.3 **სრულად კონსტრუქციულად განადგურებული/სრულად გაძარცვული დაფარული ავტოტრანსპორტის ჩვენს** საკუთრებაში გადმოცემის წინ გადაიხადოთ მის მფლობელობასთან/ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ადმინისტრაციული ჯარიმა, საურავი და დაფაროთ საჯარიმო სადგომზე მისი ყოფნის ხარჯები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

5.1.3. სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (რომლის გამოც სადაზღვევო მოთხოვნა წარდგენილი იქნება II სექციის ფარგლებში) თქვენ/დაფარული მძღოლი ასევე ვალდებული ხართ:

5.1.3.1 **ჩვენი** წერილობითი თანხმობის გარეშე არ დაეთანხმეთ დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის მოთხოვნას ზარალის ანაზღაურებაზე, არ აიღოთ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ აანაზღაუროთ მიყენებული ზიანი, არ აწარმოოთ მოლაპარაკება აღნიშნულ პირ(ებ)თან და არაფერზე არ შეუთანხმდეთ მას/მათ;

5.1.3.2 დროულად შეგვატყობინოთ მესამე პირის დაზიანებული ქონების დათვალიერების/ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი (მის შეკეთებამდე) და ყველანაირად შეგვიწყობთ ხელი იმაში, რომ ზარალის მოცულობის განსაზღვრის მიზნით მოგვეცეს დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარების საშუალება;

5.1.3.3 სისტემატურად შეგვატყობინოთ შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გამოძიების/გამოკვლევის შესახებ და, აგრეთვე, უშუალო მონაწილეობა მიიღოთ ასეთ გამოკვლევაში;

5.1.3.4 მიიღოთ ყველა ზომა იმისათვის, რომ, **ჩვენ** მიერ **სადაზღვევო მოთხოვნის** განხილვამდე, დაზარალებულმა მხარემ არ მიმართოს სასამართლოს;

5.1.3.5 საჭიროების შემთხვევაში გადმოგვცეთ **ჩვენ** ან **ჩვენ** მიერ მითითებულ პირს უფლება

ა) წარმოგადგინოთ **თქვენ/დაფარული მძღოლი** სასამართლო პროცესში ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) უფლების ჩათვლით;

ბ) ვაწარმოოთ მოლაპარაკება დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან.

5.1.4. სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (რომლის გამოც სადაზღვევო მოთხოვნა წარდგენილი იქნება III სექციის ფარგლებში) თქვენ/დაფარული მძღოლი ასევე ვალდებული ხართ:

5.1.4.1 უზრუნველყოთ, რომ **დაზარალებულმა**

ა) დაუყოვნებლივ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას;

ბ) გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა ჩვენ მიერ დანიშნულ ექიმთან (თუ ჩვენ ამას საჭიროდ ჩავთვლით);

5.1.4.2 **დაზარალებულის** გარდაცვალების შემთხვევაში ერთი კვირის განმავლობაში შეგვატყობინოთ ამის შესახებ.

5.2. თქვენ მიერ მოსაწოდებელი დოკუმენტები

5.2.1 **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას (მიუხედავად იმისა, თუ ამ შემთხვევის გამო რომელი სექციის ფარგლებში იქნება წარდგენილი **სადაზღვევო მოთხოვნა**) **თქვენ** ვალდებული ხართ მოგვანოდოთ შემდეგი დოკუმენტები:

ა) კომპეტენტური ორგანოების მიერ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გაცემული ყველა დოკუმენტი;

ბ) **დაფარული/სხვა ავტოტრანსპორტის** სარეგისტრაციო მოწმობა;

გ) იმ პირის მართვის მოწმობა, რომელიც მართავდა **დაფარულ/სხვა ავტოტრანსპორტს** მომხდარი შემთხვევის მომენტში;

დ) თუ საპატრულო პოლიცია იყო გამოძახებული - ცნობა საპატრულო პოლიციიდან მომხდარის შესახებ (შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი მხარის/პირის მითითებით);

ე) საბანკო რეკვიზიტები;

ვ) თუ საპატრულო პოლიცია იყო გამოძახებული - ცნობა იმ მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის თაობაზე (ალკოტესტი ან/და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ჩატარებული შესაბამისი ექსპერტის დასკვნა), რომელიც მართავდა **დაფარულ/სხვა ავტოტრანსპორტს** მომხდარი შემთხვევის მომენტში.

5.2.2 **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის** დადგომისას (რომლის გამოც **სადაზღვევო მოთხოვნა** წარდგენილი იქნება I სექციის ფარგლებში) **თქვენ** ასევე ვალდებული ხართ დამატებით მოგვანოდოთ შემდეგი საბუთები/მტკიცებულებები:

ა) **დაფარული ავტოტრანსპორტის სრული კონსტრუქციული განადგურების/სრული გაძარცვის/დაკარგვის** შემთხვევაში - ცნობა **დაფარული ავტოტრანსპორტის** სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ გაცემული შესაბამისი ორგანოების მიერ (ამის თაობაზე **ჩვენი** მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);

ბ) **დაფარული ავტოტრანსპორტის** დაკარგვის, **სრული/ნაწილობრივი გაძარცვის** ან მესამე პირ(ებ)ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მისი გარეგანი დაზიანების შემთხვევაში - სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმეების სახელები, გვარები, მათი საკონტაქტო დეტალები და პირადობის მოწმობების ნომრები.

5.2.3 სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (რომლის გამოც სადაზღვევო მოთხოვნა წარდგენილი იქნება II სექციის ფარგლებში) თქვენ ასევე ვალდებული ხართ დამატებით მოგვანოდოთ შემდეგი დოკუმენტები:

- ა) თითოეული დაზარალებულის სახელზე შედგენილი აქტი, რომელიც დაკავშირებულია მომხდარ შემთხვევასთან;
- ბ) სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები ყოველი დაზარალებული მესამე პირის ჯანმრთელობისთვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე, ინფორმაცია ზიანის დადგომის მომენტისათვის დაზარალებული მძღოლის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის/არ ყოფნის შესახებ;
- გ) ცნობა დაზარალებულის გარდაცვალების შესახებ და საბუთები, საიდანაც დგინდება მისი მემკვიდრეების ვინაობა (დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში);
- დ) საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის გაწეულ ხარჯებს;
- ე) უფლებამოსილი ორგანოების/უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისათვის „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი/განხორციელებული გადახდების ოდენობას;
- ვ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადანყვეტილება, რომელშიც დაფიქსირებულია **თქვენ** მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების გამო გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა - თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით; ხოლო, თუ კომპენსაციის გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით - ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი.

5.2.4 სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (რომლის გამოც სადაზღვევო მოთხოვნა წარდგენილი იქნება III სექციის ფარგლებში) თქვენ ასევე ვალდებული ხართ დამატებით მოგვანოდოთ:

- ა) სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს **დაზარალებულისთვის** ზიანის მიყენების თარიღსა და დიაგნოზს (შესაბამისი სამედიცინო ფორმების ასლები, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის ამსახველი დოკუმენტის ასლი და ა.შ);
- ბ) **დაზარალებულების** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გ) **დაზარალებულის** გარდაცვალების შემთხვევაში - ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეების ვინაობის დამადასტურებელი საბუთები.

5.2.5 კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, საჭიროების შემთხვევაში და ჩვენი შეხედულების შესაბამისად, გავზარდოთ ან შევამციროთ მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა.

5.3. დაზიანებული ავტოტრანსპორტის ევაკუაცია

თუ სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, დაფარული ავტოტრანსპორტი ვერ გადაადგილდება საკუთარი სვლით, ჩვენ უსასყიდლოდ ვუზრუნველყოფთ მის გადაყვანას შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე. ეს სერვისი განეული იქნება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევების დროს.

5.4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

თუ თქვენი სადაზღვევო მოთხოვნის განხილვის შედეგად ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევას ენიჭება სადაზღვევო შემთხვევის სტატუსი და ჩვენ გაცემთ სადაზღვევო ანაზღაურებას იმ წესითა და ოდენობით, რომელიც განისაზღვრება ქვემოთ მოყვანილი დებულებებით.

5.4.1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა I სექციის ფარგლებში:

ა) როგორც ეს VI სექციაშიც (პუნქტი 6.4.) არის აღწერილი, სრული კონსტრუქციული განადგურების/სრული გაძარცვის თუ ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად დაფარული ავტოტრანსპორტის დაკარგვის შემთხვევაში, I სექციის დაფარვის მოქმედება (და მასთან ერთად დაზღვევის ხელშეკრულება) წყდება სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის მომენტში და მოსარგებლებე გასაცემი თანხა გაუტოლდება 1.3.1-ში მოყვანილი წესით განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას:

- შემცირებულს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ჯამური გამოუმუშავებელი პრემიის დავალიანებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შემცირებულს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის I სექციის გამოუმუშავებელი პრემიის არგადახდილი ნაწილით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შემცირებულს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის II (III) სექციის გამოუმუშავებელი პრემიის

არგადახდილი ნაწილით (ასეთების არსებობის შემთხვევაში), თუ შეწყვეტის მომენტამდე ამ სექციის ფარგლებში იყო გაცემული რაიმე სადაზღვევო ანაზღაურება

ან

არგადახდილი ნაწილის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) 10%-ით, თუ შეწყვეტის მომენტამდე ამ სექციის ფარგლებში არ იყო გაცემული არანაირი სადაზღვევო ანაზღაურება;

- შემცირებულს სრულად კონსტრუქციულად განადგურებული/სრულად გაძარცვული ავტოტრანსპორტის ნარჩენი საბაზრო ღირებულებით (თუ შესრულებულია 5.5-ში ჩამოყალიბებული პირობები);
- გაზრდილს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის II (III) სექციის გამოუმუშავებელი პრემიის გადახდილი ნაწილის (ასეთების არსებობის შემთხვევაში)

90%-ით, თუ შეწყვეტის მომენტამდე ამ სექციის ფარგლებში არ იყო გაცემული არანაირი სადაზღვევო ანაზღაურება;

- გაზრდილს სადაზღვევო შემთხვევის გამო საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი და თქვენ მიერ გადახდილი ჯარიმის ოდენობის ტოლი თანხით.

ბ) დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანების/ნაწილობრივი გაძარცვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება 1.3.2-ში მოყვანილი წესით.

თუ სადაზღვევო ანაზღაურება ნაკლებია სადაზღვევო თანხაზე, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ქვემოთ მოყვანილ გ) პუნქტის შესაბამისად და დამატებით, თქვენზე გაიცემა სადაზღვევო შემთხვევის გამო საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი და თქვენ მიერ გადახდილი ჯარიმის ტოლი თანხა.

თუ სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ტოლია, I სექციის დაფარვის მოქმედება (და მასთან ერთად დაზღვევის ხელშეკრულება) წყდება სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის მომენტში და მოსარგებლეზე გასაცემი თანხა გაუტოლდება სადაზღვევო ანაზღაურებას

- შემცირებულს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ჯამური გამოუმუშავებული პრემიის დავალიანებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შემცირებულს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის I სექციის გამოუმუშავებული პრემიის არგადახდილი ნაწილით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შემცირებულს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის II (III) სექციის გამოუმუშავებული პრემიის

არგადახდილი ნაწილით (ასეთების არსებობის შემთხვევაში), თუ შეწყვეტის მომენტამდე ამ სექციის ფარგლებში იყო გაცემული რაიმე სადაზღვევო ანაზღაურება

ან

არგადახდილი ნაწილის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) 10%-ით, თუ შეწყვეტის მომენტამდე ამ სექციის ფარგლებში არ იყო გაცემული არანაირი სადაზღვევო ანაზღაურება;

- გაზრდილს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის II (III) სექციის გამოუმუშავებული პრემიის გადახდილი ნაწილის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) 90%-ით, თუ შეწყვეტის მომენტამდე ამ სექციის ფარგლებში არ იყო გაცემული არანაირი სადაზღვევო ანაზღაურება;
- გაზრდილს სადაზღვევო შემთხვევის გამო საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი და თქვენ მიერ გადახდილი ჯარიმის ოდენობის ტოლი თანხით.

გ) ჩვენი გადაწყვეტილების შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა I სექციის ფარგლებში შეიძლება მოხდეს შესაბამისი თანხის როგორც მოსარგებლისთვის გადახდის გზით, ასევე დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეკეთების/აღდგენის მომსახურების მიმწოდებლისთვის პირდაპირი გადარიცხვის საშუალებით.

5.4.2. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა II (III) სექციის ფარგლებში:

II (III) სექციის ფარგლებში დაფარულ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სადაზღვევო ანაზღაურების გარდა თქვენზე გაიცემა სადაზღვევო შემთხვევის გამო საპატრულო პოლიციის მიერ გამოწერილი და თქვენ მიერ გადახდილი ჯარიმის ტოლი თანხა.

5.4.3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვადები

ა) ჩვენ გავცემთ სადაზღვევო ანაზღაურებას ჩვენ მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, თუ ადგილი არა აქვს გაცემის გადადებას, როგორც ამას წინამდებარე წესები ითვალისწინებს.

ბ) ჩვენ უფლებას ვიტოვებთ გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით დაფარული მძღოლის, დამზღვევის, მოსარგებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

5.5. საკუთრების უფლების გადმოცემა

5.5.1. დაფარული ავტოტრანსპორტის სრული კონსტრუქციული განადგურების/სრული გაძარცვის შემთხვევაში, ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისთანავე, საკუთრების უფლება დაფარულ ავტოტრანსპორტზე უნდა გადმოგვეცეს ჩვენ. შესაბამისად, თქვენ ვალდებული ხართ, ხელი მოაწეროთ ყველა საჭირო დოკუმენტს და იმოქმედოთ ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, დაფარული ავტოტრანსპორტის ჩვენთვის პირდაპირ მფლობელობაში გადმოცემის პროცედურა უნდა ჩატარდეს ჩვენ მიერ მითითებულ ადგილზე.

თუ ობიექტური მიზეზების (და არა თქვენ მიერ წინამდებარე წესებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების) გამო, თქვენ ვერ გადმოგვცემთ დაფარულ ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლებას წინამდებარე წესების შესაბამისად ან არსებობს სხვა ხელშემშლელი გარემოება (დაფარული ავტოტრანსპორტის გირავნობით დატვირთვა, სამართლებრივი შეზღუდვის/აკრძალვის არსებობა და ა.შ.), რომელიც შეუძლებელს ხდის ჩვენზე საკუთრების უფლების გადმოცემას, საბოლოოდ გასაცემი თანხის დასადგენად სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა დამატებით უნდა შემცირდეს დაფარული ავტოტრანსპორტის ნარჩენი საბაზრო ღირებულების ტოლი თანხით (იხ. 5.4.1. ა), რომელიც განისაზღვრება ჩვენ მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მიერ.

5.5.2. ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად დაფარული ავტოტრანსპორტის დაკარგვისა და ჩვენ მიერ შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, საკუთრების უფლება დაკარგულ დაფარულ ავტოტრანსპორტზე უნდა გადმოგვეცეს ჩვენ ამ უკანასკნელის პოვნისთანავე. ამასთან დაკავშირებული თქვენი ვალდებულებები, საკუთრების გადმოცემის პროცედურა და სხვა თანმხლები პირობები ისეთივეა, როგორც 5.5.1-ში.

5.5.3. დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისა და ჩვენ მიერ შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ ჩვენ

ყველა დაზიანებული ნაწილი, რომელთა ჩანაცვლება მოხდა **დაფარული ავტოტრანსპორტის** აღდგენის პროცესში.

5.6. სუბროგაცია

ჩვენ მიერ **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემისთანავე, გაცემული თანხის ფარგლებში **ჩვენზე** უნდა გადმოვიდეს ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი მესამე პირ(ებ)ისგან/ბრალეული მხარ(ებ)ისგან ანაზღაურების მიღების უფლება, რომელიც **თქვენ** გაგაჩნიათ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე (სუბროგაციის წესი). ამასთან დაკავშირებით, **თქვენ** ვალდებული ხართ მიიღოთ ყველა ზომა (მოამზადოთ და გადმოგვცეთ ყველა საჭირო დოკუმენტი, განახორციელოთ ყველა საჭირო ქმედება) და აღმოგვიჩინოთ ყველანაირი გონივრული დახმარება, რათა **ჩვენ** შევძლოთ **ჩვენთვის** ამგვარად მონიჭებული უფლების გამოყენება. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენი** მიზეზით ვერ ვისარგებლებთ ამ უფლებით, **ჩვენ** უფლებამოსილნი გავხდებით მოვითხოვოთ გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

5.7. სადაზღვევო აქტი

სადაზღვევო აქტი წარმოადგენს **მზღვეველის** მიერ შემუშავებულ ფორმას, რომელშიც ფიქსირდება **თქვენი სადაზღვევო მოთხოვნის** დარეგულირების შედეგი, კერძოდ, მასში მიეთითება **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობა, გამოსაქვითი თუ დასამატებელი თანხები (მაგალითად, საპრემიო დავალიანება), საბოლოოდ გასაცემი თანხა და მისი გაცემის ფორმა. ასევე, **სადაზღვევო აქტში** ფიქსირდება **სრულად კონსტრუქციულად განადგურებულ/სრულად გაძარცვულ ან დაკარგულ დაფარულ ავტოტრანსპორტზე** საკუთრების უფლების **თქვენ** მიერ **ჩვენზე** გადმოცემის ვალდებულება.

დამზღვევის მიერ **სადაზღვევო აქტის** ხელმოწერამდე **მზღვეველი** უფლებამოსილია, არ გასცეს **სადაზღვევო ანაზღაურება**.

5.8. უარი სადაზღვევო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე

5.8.1. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ უარყოფითი გადაწყვეტილება **თქვენი სადაზღვევო მოთხოვნის** დაკმაყოფილების თაობაზე, თუ:

5.8.1.1. **თქვენ** არ შეასრულეთ წინამდებარე წესებით **თქვენზე** დაკისრებული ვალდებულებები;

5.8.1.2. **თქვენ** არ მოგვანოდეთ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული **ჩვენ** მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია იმ ვადაში, რომელიც შეთანხმებულია **პოლისიტა** და წინამდებარე წესებით და ამის გამო არსებითად შეილახა **ჩვენი** ინტერესები;

5.8.1.3. **თქვენ** მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტები), რომელიც საჭიროა რისკის შეფასებისთვის, **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად** აღიარების თუ არ აღიარებისთვის, ასევე, **სადაზღვევო ანაზღაურების** ოდენობის გამოთვლისათვის არის წინასწარი შეცნობით არაზუსტი ანდა ყალბი;

5.8.1.4. **თქვენ** უარი განაცხადეთ უზრუნველყოთ **ჩვენი** წარმომადგენლის მონაწილეობა **სადაზღვევო შემთხვევის** გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებული სხვა ინფორმაციის მოკვლევა-მოძიებაში;

5.8.1.5. **თქვენ** არ წარმოგვიდგინეთ **ჩვენ** მიერ მოთხოვნილი და ამ წესებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;

5.8.1.6. **თქვენ** უარი განაცხადეთ იმ საბუთების **ჩვენთვის** გადმოცემაზე, რომლებიც საჭიროა ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი მესამე პირისთვის **ჩვენ** მიერ რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად;

5.8.1.7. **ჩვენთან** წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, გადაუხადეთ მესამე პირს კომპენსაცია ან ანაზღაურეთ სასამართლო ანდა სასამართლოს გარეშე დაცვის ხარჯები;

5.8.1.8. **თქვენ** არ დაარეგისტრირეთ შემთხვევა საპატრულო პოლიციაში, როცა, ამ წესების მიხედვით, ეს აუცილებელი იყო;

5.8.1.9. **თქვენ** გაასხვისეთ **დაფარული ავტოტრანსპორტი** და გასხვისების ფაქტიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში წერილობით არ შეგვაცუობინეთ ამის შესახებ;

5.8.1.10. წინამდებარე წესების 6.3.2-6.3.3. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.8.2. **თქვენი სადაზღვევო მოთხოვნის** დაკმაყოფილებაზე უარი წარგედგინებათ წერილობითი ფორმით, სადაც მოყვანილი იქნება უარის დასაბუთებული მიზეზები.

VI სექცია - ზოგადი დებულებები

6.1. დაზღვევის ხელშეკრულება

6.1.1. **ჩვენსა და თქვენს შორის დაზღვევის ხელშეკრულების** დადებას წინ უნდა უძღოდეს **თქვენ** მიერ **განაცხადის** შევსება. ამ **განაცხადში** **თქვენ** გამოთქვამთ დაზღვევის სურვილს და წარმოადგენთ ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც **ჩვენ** ვაფასებთ **თქვენს** რისკს და შევიმუშავებთ **თქვენთვის** სადაზღვევო შეთავაზებას. **თქვენ** ასევე უნდა წარმოადგინოთ **თქვენი** პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა.

იმ შემთხვევაში, თუ **ჩვენ** შევთანხმდებით პირობებზე, რომლითაც უნდა მოხდეს **თქვენი** დაზღვევა, **ჩვენ** გავცემთ **პოლისს**, რომელიც **თქვენ** გადმოგეცემათ დაზღვევის წესებთან ერთად და რომელშიც ასახულია შეთანხმებული დაზღვევის პირობები.

დაზღვევის ხელშეკრულების დადების ფაქტს ადასტურებს **ჩვენ** მიერ **პოლისის** გაცემა და ამის გარეშე **ჩვენ** არ შეიძლება წარმოგვექმნას **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის ვალდებულება.

6.1.2 იმისათვის, რომ ამოქმედდეს სადაზღვევო დაფარვა, აუცილებელია რომ **თქვენ** სრულად გადაიხადოთ **პრემია** (განვადების შემთხვევაში - პირველი საპრემიო გადასახადი). ასევე, I სექციით გათვალისწინებული დაფარვის ასამოქმედებლად აუცილებელია **ჩვენი** უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ **დაფარული ავტოტრანსპორტის** დათვალიერება.

6.1.3. თუ **დაზღვევის ხელშეკრულების** მხარეების შეთანხმებით, **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში შეიცვალა სადაზღვევო დაფარვა, ამგვარი ცვლილებები უნდა აისახოს **პოლისში** ან მის დანართში და ამის შედეგად დაზღვევის წესებსა და **პოლისს** შორის შეუსაბამობის წარმოქმნის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება **პოლისს**.

6.1.4. **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში **პოლისის** დაკარგვის შემთხვევაში, **თქვენ** უნდა მოგვმართოთ შესაბამისი განცხადებით, რომლის საფუძველზეც **ჩვენ** გავცემთ დუბლიკატს (სათანადო გრიფით, რომელიც ადასტურებს, რომ **პოლისი** დუბლირებულია). დუბლიკატის საიდენტიფიკაციო მონაცემები უცვლელი დარჩება, ხოლო დაკარგული **პოლისი** ძალადაკარგულად ჩაითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი არანაირი **სადაზღვევო მოთხოვნა** არ დაკმაყოფილდება.

6.2. ხელშეკრულების/დაზღვევის მოქმედების ვადა

6.1.2. პუნქტის პირობის დაცვით, დაზღვევა შედის ძალაში **სადაზღვევო პოლისში** მითითებული **დაზღვევის პერიოდის** პირველი დღის 24 საათზე და მოქმედებს **დაზღვევის პერიოდის** ბოლო დღის 24 საათამდე.

6.3. პრემიის გადახდის ვალდებულება

6.3.1. **ჯამური სადაზღვევო პრემიის** გადახდა ხდება ერთჯერადად ან განვადებით (იმ პერიოდულობითა და ვადებში, რომლებიც მითითებულია **პოლისში**).

6.3.2. პუნქტი 6.1.2-ის შესაბამისად, **ჩვენ** არ დავაკმაყოფილებთ **თქვენს სადაზღვევო მოთხოვნას** იმ **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებით, რომელიც მოხდა **თქვენ** მიერ ერთჯერადი **პრემიის** ან განვადებული **პრემიის** პირველი ნაწილის გადახდამდე.

6.3.3. განვადებული **პრემიის** რომელიმე შემდგომი ნაწილის **თქვენ** მიერ **სადაზღვევო პოლისით** დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **ჩვენ** მოგცემთ გადახდისთვის დამატებით ორკვირიან ვადას. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ მოხდება **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა** და **პრემია** კვლავ არ იქნება გადახდილი, **ჩვენ** ვთავისუფლდებით ასეთი შემთხვევის დაფარვის ვალდებულებისგან.

6.3.4. **პრემიის/მისი** განვადებული ნაწილის დროულად გადაუხდელობა უფლებას გვაძლევს გაგაფრთხილოთ **დაზღვევის ხელშეკრულების** შეწყვეტის თაობაზე და ამ გაფრთხილებიდან ერთი თვის განმავლობაში **პრემიის/მისი** განვადებული ნაწილის გადაუხდელობის შემთხვევაში, ცალმხრივად შევწყვიტოთ **დაზღვევის ხელშეკრულება**.

6.4. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა

6.4.1. დამატებითი ვადის მიცემის, გაფრთხილებისა და წერილობითი შეტყობინების გარეშე:

6.4.1.1. I სექციის სადაზღვევო დაფარვის მოქმედება ვადაზე ადრე წყდება ისე, როგორც ეს 5.4.1. ა. და ბ. პუნქტებშია აღწერილი. I სექციის სადაზღვევო დაფარვის მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტა ავტომატურად იწვევს **ხელშეკრულების** შეწყვეტას;

6.4.1.2. **დაზღვევის ხელშეკრულება** წყდება თუ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ რაიმე გარემოების გამო (**სადაზღვევო შემთხვევის** მოხდენის გარდა) დაფარული რისკი აღარ იარსებებს, ანუ გაქრება **სადაზღვევო შემთხვევის** მოხდენის შესაძლებლობა. **ხელშეკრულება** წყდება დაფარული რისკის გაქრობის მომენტიდან.

6.4.2. როდესაც **თქვენ** მიერ **პრემიის** გადახდა ხორციელდება შესაბამისი საბანკო დაწესებულებისათვის წერილობითი დავალების მიცემის გზით, რომლის თანახმადაც ხსენებული დაწესებულება, **პოლისით** შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, უაქცეპტო წესით ახორციელებს **პრემიის თქვენი** ანგარიშიდან **ჩვენთვის** გადმორიცხვას, **დაზღვევის ხელშეკრულება** წყდება დამატებითი ვადის მიცემის, გაფრთხილებისა და წერილობითი შეტყობინების გარეშე, თუ **თქვენ** გააუქმებთ ხსენებულ წერილობით დავალებას **დაზღვევის პერიოდის** ამოწურვამდე ისე, რომ მინიმუმ 2 (ორი) კვირით ადრე არ შეგვატყობინებთ წერილობით ამის თაობაზე და **პრემიის თქვენ** მიერ გადახდის სხვა ფორმა არ იქნება ჩვენ შორის წერილობით შეთანხმებული. **დაზღვევის ხელშეკრულება** იგივენაირად წყდება, თუ **პრემიის** გადახდის (ანგარიშიდან ჩამოჭრის) თარიღისათვის **თქვენს** საბანკო ანგარიშზე არ იქნება საკმარისი თანხა, რის გამოც **პრემიის** ჩამოჭრა ვერ განხორციელდება სრულად. ორივე შემთხვევაში **დაზღვევის ხელშეკრულება** შეწყვეტილად ჩაითვლება **პრემიის** გადახდის (ანგარიშიდან ჩამოჭრის) თარიღიდან.

6.4.3. შესაბამისი წერილობითი შეტყობინების ერთი თვით ადრე გაგზავნის პირობით **ხელშეკრულება** შეიძლება შეწყდეს:

6.4.3.1. ისე, როგორც ეს 6.3.4. პუნქტშია აღწერილი;

6.4.3.2. **ხელშეკრულების** ფარგლებში დაფარული რისკის გაზრდის შემთხვევაში, თუ **თქვენ** არ ეთანხმებით დაზღვევის პირობების ცვლილებას (მაგ., უარს აცხადებთ **ჩვენ** მიერ მოთხოვნილი დამატებითი **პრემიის** გადახდაზე);

6.4.3.3. **დაფარული ავტოტრანსპორტის** გასხვისებისას, თუ **ჩვენ** არ გვსურს **თქვენსა** და **ჩვენ** შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელება ახალ მეპატრონესთან;

6.4.3.4. **დაზღვევის ხელშეკრულების** მხარის სურვილით.

6.4.4. იმ შემთხვევაში, როცა **ხელშეკრულება** დროზე ადრე წყდება 6.4.1.2, 6.4.2 და 6.4.3 პუნქტების შესაბამისად, **თქვენ** მიერ გადასახდელი **პრემიის** ოდენობა გამოითვლება ქვემოთ მოყვანილი „მოკლე ტარიფების“ ცხრილის მიხედვით.

მოკლე დაზღვევის პერიოდის შესაბამისი პრემიების ცხრილი („მოკლე ტარიფების“ ცხრილი)

ფაქტობრივი დაზღვევის პერიოდი	შესაბამისი პრემია (ერთნობიანი დაზღვევის პერიოდის შესაბამისი ჯამური სადაზღვევო პრემიის %)
0-დან 1 თვის ჩათვლით	25%
1-დან 2 თვის ჩათვლით	35%
2-დან 3 თვის ჩათვლით	45%
3-დან 4 თვის ჩათვლით	55%
4-დან 5 თვის ჩათვლით	65%
5-დან 6 თვის ჩათვლით	75%
6-დან 7 თვის ჩათვლით	85%
7-დან 8 თვის ჩათვლით	95%
8-დან 12 თვის ჩათვლით	100%

6.4.5. **თქვენ** უფლებამოსილი ხართ, ყოველგვარი საფუძვლის მითითების, ჯარიმისა და დამატებითი გადასახადის გარეშე, უარი თქვათ **დისტანციურად ან სარეზის გარეთ დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებაზე** მისი დადების მომენტიდან 14 დღის ვადაში. ამასთან:

6.4.5.1. **თქვენ** არ ხართ უფლებამოსილი, 6.4.5-ის შესაბამისად უარი თქვათ **დაზღვევის ხელშეკრულებაზე**,

ა) რომლის შესაბამისი **პრემია** არ აღემატება 30 ლარს;

ბ) რომლის მოქმედების ვადა ნაკლებია 14 დღეზე;

გ) რომელიც დაკავშირებულია ისეთ ძირითად ხელშეკრულებასთან, რომელიც არ განიჭებთ უარის თქმის უფლებას;

დ) რომლის შესაბამისი **პრემიის** სიდიდე დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის მაჩვენებლების მერყეობაზე, რომელიც ხდება **ჩვენი** კონტროლის გარეთ და რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაშიც;

ე) თუ **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე და **დაზღვევის ხელშეკრულების** დებულებების გათვალისწინებით, **თქვენ** პირდაპირ და მკაფიოდ მოითხოვეთ სადაზღვევო მომსახურების მიღება და **ჩვენ** მოგაწოდეთ ინფორმაცია, რომ შესაბამისი მომსახურების მიღებით **თქვენ** კარგავთ 6.4.5-ით გათვალისწინებულ უარის თქმის უფლებას.

6.4.6. **ხელშეკრულებაზე** 6.4.5-ის საფუძველზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ **დისტანციურად ან სარეზინო გარეთ დადებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო **ხელშეკრულების** მოქმედების ფარგლებში მათ მიერ გაცემული თანხები მათვე უბრუნდებათ, კერძოდ **თქვენ** მიერ გადახდილი **პრემია** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაგიბრუნოთ სრულად, **ხელშეკრულებაზე** უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში.

6.5. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

6.5.1. **ჩვენ** ვალდებული ვართ, გაგაცნოთ და გადმოგცეთ წინამდებარე წესები.

6.5.2. როგორც **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმებამდე, ასევე მთელი **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ მოგთხოვოთ **დაზღვევის ხელშეკრულებით ჩვენზე** დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისთვის (მათ შორის, **თქვენი** რისკის შეფასებისთვის, თუმცა არა მხოლოდ) საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, ხოლო **თქვენ** ვალდებული ხართ დროულად მოგვანოდოთ ასეთი ინფორმაცია.

6.5.3. გარდა **ჩვენ** მიერ მოთხოვნილი (მათ შორის, **განაცხადში** არსებული კითხვების მეშვეობით) ინფორმაციისა, **თქვენ** ვალდებული ხართ, **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმებამდე, მოგვანოდოთ ყველანაირი **თქვენთვის** ცნობილი სხვა ინფორმაცია (ან შეგვატყობინოთ **თქვენთვის** ცნობილი ყველა ისეთი გარემოების შესახებ), რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს **თქვენი** რისკის შეფასებაზე.

6.5.4. **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში **თქვენ** ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ წერილობით გვაცნობოთ **თქვენ** მიერ ადრე (მათ შორის, **დაზღვევის ხელშეკრულების** გაფორმებამდე) შეტყობინებული გარემოებების ცვლილების ან ახალი გარემოებების წარმოქმნის შესახებ, თუ ამ ცვლილებების ან ახალი გარემოებების შედეგად **თქვენი** რისკი გაიზარდა.

ჩვენ არ დავფარავთ არცერთ ისეთ **სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევას**, რომელიც გამოწვეული იქნება ზემოთ ხსენებული გარემოებების ცვლილებით ან ახალი გარემოებებით, თუ არ იარსებებს **ჩვენი** წერილობითი თანხმობა (და არ გაიცემა შესაბამისი **პოლისის** დანართი) ამ ახალ ვითარებაში სადაზღვევო დაფარვის გაგრძელების თაობაზე, რა შემთხვევაშიც **ჩვენ** უფლება გვაქვს გადავხედოთ დაფარვის მოცულობას ანდა **პრემიის** სიდიდეს.

6.5.5. **დაფარული ავტოტრანსპორტის** გასხვისებისას აუცილებელია დაუყოვნებლივ წერილობით გვაცნობოთ გასხვისების ფაქტის შესახებ, ასევე, ახალი მფლობელის/მესაკუთრის ვინაობა და საკონტაქტო დეტალები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასხვისების ფაქტიდან 2 (ორი) კვირის გასვლის შემდეგ, **ჩვენ** ვთავისუფლებით **დაზღვევის ხელშეკრულებით ჩვენზე** დაკისრებული ვალდებულებისაგან.

6.5.6. **თქვენ** ვალდებული ხართ 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით შეგვატყობინოთ **დაფარულ ავტოტრანსპორტში** შეტანილი გაუმჯობესებების შესახებ. ამის შემდეგ, სადაზღვევო დაფარვა გავრცელდება გაუმჯობესებებზე მხოლოდ **ჩვენი** წერილობითი თანხმობის (საჭიროების შემთხვევაში - **პოლისის** დანართის გაცემის) შემდეგ.

6.5.7. **თქვენ** ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ მოგვანოდოთ ინფორმაცია **თქვენი** მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ჩვენ** მიერ **თქვენთან** გამოგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია/შეტყობინება **თქვენ** მიერ ადრე მითითებულ მისამართზე, ჩაითვლება **თქვენ** მიერ მიღებულად. ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც **თქვენ** მიერ მითითებული მისამართი არის არასწორი ან შეიცავს ხარვეზებს.

6.6. დავების განხილვის წესი

ამ წესებზე დაფუძნებული **დაზღვევის ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით წარმოქმნილი დავები გადაწყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოში.

მხარეები ასევე უფლებამოსილი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ “სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის” (ს/კ 204878481) “დაზღვევის მედიაციას” სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე mediacia@insurance.org.ge, ხოლო მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში - მიმართონ საქართველოს სასამართლოს როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი.

6.7. კონფიდენციალურობა

6.7.1. **თქვენ** და **ჩვენ** მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველანაირი ინფორმაცია (მიუხედავად იმისა, ზეპირი თუ წერილობითი ფორმით მოხდა მიწოდება), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს თუ ეს დაკავშირებული არ არის **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

6.7.2. **ჩვენ** ვალდებული ვართ სათანადოდ დავიცვათ **თქვენი** პერსონალური ინფორმაცია, რომელიც მათ შორის მივიღეთ **თქვენი** თანხმობით და **თქვენთვის** სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის. ამასთან, **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით და ფარგლებში, დავამუშაოთ **თქვენი** პერსონალური მონაცემები შესაბამისი უფლებამოსილი პირის მეშვეობით და კანონით დადგენილი წესით, მათ შორის მესამე პირთათვის მისი გადაცემის გზით, როგორც სადაზღვევო მომსახურების **თქვენთვის** შეთავაზებისთვის, მომსახურების გაწევისთვის, კანონმდებლობის მოთხოვნების შესასრულებლად, ასევე, **ჩვენი** ლეგიტიმური ინტერესების დაცვისათვის იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად **თქვენ** არ შეასრულებთ **დაზღვევის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

6.8 შეტყობინების გაგზავნა

დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა წერილობითი შეტყობინება მხარეებს გაეგზავნება ფოსტის მეშვეობით **განაცხადში** ან **პოლისში** მითითებულ მისამართზე. **ჩვენ** ასევე შეგვიძლია გამოგიგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) ან ელექტრონული წერილი იმისდა მიხედვით, თუ რომელი საკომუნიკაციო საშუალება და შესაბამისი ტელეფონის ნომერი/ელექტრონული მისამართი არის მითითებული **განაცხადსა** თუ **პოლისში**. ამასთან:

- თუ შეტყობინება გამოგეგზავნათ **განაცხადში** მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ მისამართზე, შეტყობინება ჩაბარებულად/მიღებულად ითვლება მისი გამოგზავნის დღეს;
- თუ შეტყობინება გამოგეგზავნათ **განაცხადში** მითითებულისგან განსხვავებულ ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ მისამართზე, ის ჩაბარებულად ითვლება **თქვენ** მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია **თქვენ** მიერ;
- მისამართის, საკომუნიკაციო საშუალებისა თუ სხვა რეკვიზიტების ცვლილების შესახებ ინფორმაციის **ჩვენთვის** დაუყოვნებლივ მიუწოდებლობის შემთხვევაში, **თქვენ** მიერ **ჩვენთვის** ბოლოს მოწოდებულ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორექსონდენცია/შეტყობინება ჩაითვლება **თქვენ** მიერ მიღებულად.

VII სექცია - ტერმინები და მათი განმარტებები

7.1. ზოგადი ტერმინები

მზღვეველი (ჩვენ) - სს „სადაზღვევო კომპანია აღდაგი“, **დაზღვევის ხელშეკრულების** მხარე;

დამზღვევი (თქვენ) - პირი, ვისთანაც **მზღვეველი** დებს **დაზღვევის ხელშეკრულებას**, ხელშეკრულების მხარე;

მოსარგებლე (I სექციის ფარგლებში) - პირი, რომელსაც **თქვენ** მიანიჭეთ I სექციის ფარგლებში გაცემული **სადაზღვევო ანაზღაურების** მიღების უფლება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში - **თქვენ**;

დაფარული მძღოლი - სათანადო მართვის მოწმობის მქონე პირი (რომელსაც მართვის უფლება არ აქვს შეჩერებული), რომელიც აკმაყოფილებს **პოლისში** მითითებულ ასაკობრივ შეზღუდვას და რომელიც მართლზომიერად უწევს **ექსპლუატაციას დაფარულ ავტოტრანსპორტს**. პირს გააჩნია **დაფარული მძღოლის** სტატუსი მხოლოდ მის მიერ **დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის** პროცესში. ეს სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა **დაფარულ ავტოტრანსპორტს ექსპლუატაციას** უწევს **დამზღვევი** (თუ მას გააჩნია სათანადო მართვის მოწმობა და მართვის უფლება არ აქვს შეჩერებული) ან **დაფარული მძღოლი**;

ოჯახის წევრი - მეუღლე, შვილი, მშობელი, დედამიწილი;

დაზღვევის ხელშეკრულება (ხელშეკრულება) - ამ წესებზე დაფუძნებული ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების გაწევის თაობაზე. დოკუმენტურად **ხელშეკრულება** წარმოადგენს წინამდებარე წესების, **დაზღვევის პოლისისა** და **დაზღვევის განაცხადის** განუყოფელ ერთობლიობას;

დისტანციურად დადებული ხელშეკრულება - **დაზღვევის ხელშეკრულება**, რომლის დადება განხორციელდა **მზღვეველსა** და **დამზღვევს** შორის **მზღვეველის** მიერ ორგანიზებული ერთი ან რამდენიმე დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით;

სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულება - **დაზღვევის ხელშეკრულება**, რომელიც დადებულია **მზღვეველსა** და **დამზღვევს** შორის სარეწის გარეთ და მოითხოვს მათ ფიზიკურ

თანაყოფობას; **ხელშეკრულება**, რომელიც დადებულია სარენში ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც **დამზღვევმა ხელშეკრულების** დადების შესახებ ინდივიდუალური შეთავაზება უშუალოდ მიიღო **მზღვეველისაგან** სარენის გარეთ **მზღვეველისა** და **დამზღვევის** ფიზიკური თანაყოფობისას;

დაზღვევის განაცხადი (განაცხადი) - **თქვენ** მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადების ფორმა, რომლის მეშვეობითაც **თქვენ** გამოთქვამთ დაზღვევის სურვილს და მოგვანვდით **ჩვენ** მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. **თქვენ** მიერ **განაცხადის** წარმოდგენა **დაზღვევის ხელშეკრულების** დადების აუცილებელი წინაპირობაა;

დაზღვევის პოლისი (პოლისი) - **ჩვენ** მიერ გაცემული დოკუმენტი იმის დასტურად, რომ **ჩვენსა** და **თქვენ** შორის დადებულია **დაზღვევის ხელშეკრულება** და რომელშიც ასახულია ამ **ხელშეკრულების** კონკრეტული დეტალები. იმ შემთხვევაში, თუ **პოლისში** წარმოდგენილი ინფორმაცია რამენაირად ეწინააღმდეგება ამ წესების რომელიმე დებულებას (დებულებებს), უპირატესობა ენიჭება **პოლისში** წარმოდგენილ ინფორმაციას;

სადაზღვევო მოთხოვნა - **თქვენ** მიერ **ჩვენთვის** წაყენებული მოთხოვნა **დაზღვევის ხელშეკრულების** შესაბამისად ზარალის ანაზღაურების თაობაზე;

სადაზღვევო აქტი - დოკუმენტი, რომელიც ასახავს **სადაზღვევო მოთხოვნის** დარეგულირების შედეგს. **სადაზღვევო აქტზე დაზღვევის ხელშეკრულების** მხარეების მიერ ხელმოწერა წარმოადგენს **სადაზღვევო ანაზღაურების** გაცემის წინაპირობას;

დაფარული ავტოტრანსპორტი - ავტოტრანსპორტი, რომელიც წარმოდგენილია **პოლისში**, როგორც დაფარული ავტოტრანსპორტი;

ავტოტრანსპორტის ხნოვანება - **ავტოტრანსპორტის ხნოვანება** გამოისახება მთელ კალენდარულ წლებში და უდრის სხვაობას მიმდინარე წელსა და გამოშვების წელს შორის. ამ დაზღვევის მიზნებისთვის, **დაფარული ავტოტრანსპორტის ხნოვანება** დაზღვევის მომენტში არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს;

ავტოტრანსპორტის ექსპლუატაცია - გულისხმობს:

ა) ავტოტრანსპორტით მგზავრობას მასში ჩატვირთის მომენტიდან გადმოსვლის მომენტამდე იმ მოკლე შეჩერებების ჩათვლით, რომლებიც მგზავრობის დროს მოხდა;

ბ) უშუალოდ ავტოტრანსპორტის სიახლოვეში მძღოლის თუ მგზავრის მიერ განხორციელებულ ქმედებებს დაკავშირებულს საწვავის ჩასხმასთან, ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვასთან, ასევე, მძღოლის თუ მგზავრის მიერ კარების გაღება - დახურვას;

გ) მგზავრობის დროს მძღოლის თუ მგზავრის მიერ ავტოტრანსპორტის შეკეთებას, რათა შესაძლებელი გახდეს მგზავრობის გაგრძელება ან უახლოეს სერვის ცენტრამდე მიღწევა;

სხვა ავტოტრანსპორტი - **დაფარული ავტოტრანსპორტისგან** განსხვავებული ავტოტრანსპორტი, რომელშიც **თქვენ** მგზავრობთ ან რომელსაც მართლზომიერად უწევთ **ექსპლუატაციას**. ავტოტრანსპორტს აქვს **სხვა ავტოტრანსპორტის** სტატუსი მხოლოდ **დამზღვევის** მიერ მისი **ექსპლუატაციის** პროცესში;

ავტოსაგზაო შემთხვევა - ხდომილობა, რომლის მოხდენასაც იწვევს ერთი/რამდენიმე მოძრავი ავტოტრანსპორტი და რომლის დროსაც დაშავდნენ ან დაიღუპნენ ადამიანები, დაზიანდა ავტოტრანსპორტი, ტვირთი, ნაგებობები ან მიყენებულ იქნა სხვა მატერიალური ზიანი;

გარეგანი ზემოქმედება ავტოტრანსპორტზე (გარეგანი ზემოქმედება) - ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო გარემოში არსებული ობიექტების (მათ შორის, ადამიანის) ან მასში მიმდინარე პროცესების, თუ მოქმედი ძალების მექანიკური ზემოქმედება ავტოტრანსპორტზე.

ამ დაზღვევის მიზნებისთვის, ეს განმარტება არ მოიცავს **დამზღვევის/დაფარული მძღოლის/მესაკუთრის** თუ მათი **ოჯახის წევრების** ზემოქმედებას **დაფარულ ავტოტრანსპორტზე**;

სადაზღვევო შემთხვევა - შემთხვევა, რომლის შედეგადაც, **დაზღვევის ხელშეკრულების** თანახმად, **ჩვენ** წარმოგვექმნება ზარალის ანაზღაურების ვალდებულება;

სავარაუდო სადაზღვევო შემთხვევა - შემთხვევა, რომელიც ატარებს **სადაზღვევო შემთხვევის** ნიშნებს და რომელიც შემდგომში შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც **სადაზღვევო შემთხვევა**;

დაზღვევის პერიოდი - დროის შუალედი, რომლის დასაწყისი და ბოლო შესაბამისად წარმოადგენს დაზღვევის ძალაში შესვლისა და მისი მოქმედების დასრულების მომენტებს და რომელიც, როგორც ასეთი, მითითებულია **პოლისში**;

დაფარვის ტერიტორია - ტერიტორია, რომელზეც მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა. **სადაზღვევო შემთხვევად** შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ **დაფარვის ტერიტორიაზე** მომხდარი შემთხვევა;

24-საათიანი ავტო-ასისტანსის მომსახურება - წინამდებარე წესების დანართში „დამატებითი სარგებელი“ აღწერილი მომსახურება, რომელსაც, **დაზღვევის პერიოდის** განმავლობაში, **მზღვეველი**, დამატებითი სარგებლის სახით, უსასყიდლოდ სთავაზობს **დამზღვევს/დაფარულ მძღოლს**;

I (II, III) სექციის სადაზღვევო პრემია (პრემია I (II, III)) - **პოლისში** ასეთად მითითებული თანხა, რომელიც მოიცავს სადაზღვევო შენატანსა და სადაზღვევო მომსახურების საფასურს;

ჯამური სადაზღვევო პრემია (პრემია) - I, II და III სექციების სადაზღვევო პრემიების ჯამი;

I (II, III) სექციის გამომუშავებული პრემია დაზღვევის პერიოდის მოცემული მომენტისათვის (გამომუშავებული პრემია I (II, III)) - პრემია I (II, III)-ის ნაწილი, რომელიც **დაზღვევის პერიოდის** დასაწყისიდან ამ მომენტამდე გასული **დაზღვევის პერიოდის** ნაწილის პროპორციულია;

I (II, III) სექციის გამოუმუშავებული პრემია დაზღვევის პერიოდის მოცემული მომენტისათვის (გამომუშავებული პრემია I (II, III)) - სხვაობა პრემია I (II, III)-სა და გამომუშავებულ პრემია I (II, III) -ს შორის;

ჯამური გამომუშავებული პრემია (გამომუშავებული პრემია) - I, II და III სექციების გამომუშავებული პრემიების ჯამი;

ჯამური გამოუმუშავებელი პრემია (გამომუშავებელი პრემია) - I, II და III სექციების გამოუმუშავებელი პრემიების ჯამი;

სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც, **დაზღვევის ხელშეკრულების** შესაბამისად, ჩვენ უნდა გავცეთ **სადაზღვევო შემთხვევის** შედეგად განცდილი ზარალის დასაფარად;

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება - სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ფსიქიკური აშლილობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.

7.2. I სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

დაფარული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულება (სადაზღვევო ღირებულება) - დაფარული ავტოტრანსპორტის ღირებულება, რომელსაც ჩვენ ვეფუძნებით **სადაზღვევო მოთხოვნის** განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რომლის დადგენის წესი მოცემულია 1.3.1-ში;

სადაზღვევო თანხა - **დაზღვევის პოლისში** მითითებული თანხა, რომელიც 1.3.1-1.3.2 პუნქტებში აღწერილი წესის შესაბამისად შემოსაზღვრავს ცალკეულ **სადაზღვევო შემთხვევასთან** დაკავშირებულ **მზღვეველის** პასუხისმგებლობას;

აქსესუარები - ავტოტრანსპორტის დეტალები, რომლებსაც მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია გააჩნიათ, მაგალითად: სამარკო ემბლემა და კანტები;

სრული კონსტრუქციული განადგურება - დაფარული ავტოტრანსპორტის დაზიანება, რომელიც აკმაყოფილებს **სრული კონსტრუქციული განადგურების** აღიარების წინამდებარე წესებით დადგენილ კრიტერიუმს;

ნაწილობრივი დაზიანება - დაფარული ავტოტრანსპორტის დაზიანება, რომელიც არ წარმოადგენს **სრულ კონსტრუქციულ განადგურებას**;

სრული გაძარცვა - ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილების დაკარგვა, რომელიც აკმაყოფილებს **სრული გაძარცვის** აღიარების წინამდებარე წესებით დადგენილ კრიტერიუმს;

ნაწილობრივი გაძარცვა - ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად დაფარული ავტოტრანსპორტის ნაწილების დაკარგვა, რომელიც არ წარმოადგენს **სრულ გაძარცვას**;

აღდგენის ღირებულება - დაზიანებული დაფარული ავტოტრანსპორტის აღსადგენად საჭირო თანხა, რომლის დადგენის წესი მოცემულია 1.3.2-ში.

7.3. II სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

დაფარული მესამე პირი - მესამე პირი (ანუ ნებისმიერი პირი მზღვეველისა და დამზღვევის გარდა), რომლის წინაშე წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად წარმოქმნილი სამოქალაქო პასუხისმგებლობა იფარება ამ დაზღვევით;

სადაზღვევო ლიმიტი - დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელიც შემოსაზღვრავს ცალკეულ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ მზღვეველის პასუხისმგებლობას;

ლიმიტი დამზღვევის მიერ სხვა ავტოტრანსპორტის მძღოლის ფუნქციის შესრულების შემთხვევაში (დამზღვევის პერსონალური ლიმიტი) - დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელიც შემოსაზღვრავს დამზღვევის მიერ სხვა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად მომხდარი ცალკეული სადაზღვევო შემთხვევის გამო გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას;

ლიმიტი 21 წლამდე ასაკის ანდა 2 წლამდე მართვის გამოცდილების მქონე პირების მიერ დაფარული ავტოტრანსპორტის მძღოლის ფუნქციის შესრულების შემთხვევაში (ახალბედა მძღოლების ლიმიტი) - დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელიც შემოსაზღვრავს 21 წლამდე ასაკის ანდა 2 წლამდე მართვის გამოცდილების მქონე მძღოლების მიერ დაფარული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად მომხდარი ცალკეული სადაზღვევო შემთხვევის გამო გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას.

7.4. III სექციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

სადაზღვევო ლიმიტი - დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელიც შემოსაზღვრავს ცალკეულ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ მზღვეველის პასუხისმგებლობას;

ლიმიტი დამზღვევის მიერ სხვა ავტოტრანსპორტის მძღოლის ფუნქციის შესრულების ან მგზავრად ყოფნის შემთხვევაში (დამზღვევის პერსონალური ლიმიტი) - დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელიც შემოსაზღვრავს სხვა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად მომხდარი ცალკეული სადაზღვევო შემთხვევის გამო გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას, როცა დამზღვევი სათანადო უფლებამოსილებით ასრულებს მისი მძღოლის ფუნქციას ან არის მისი მგზავრი;

დაზარალებული - სადაზღვევო შემთხვევის დროს დაფარულ ავტოტრანსპორტში მყოფი დაფარული მძღოლი ან მგზავრი, რომელიც, ამ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, გარდაიცვალა ან რომლის ჯანმრთელობასაც მიაღდა ზიანი;

ლიმიტი ერთ დაზარალებულზე - დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელიც ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დროს შემოსაზღვრავს ერთ დაზარალებულზე გაცემულ სადაზღვევო ანაზღაურებას;

ლიმიტი ერთ ცხოველზე - დაზღვევის პოლისში მითითებული თანხა, რომელიც ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დროს შემოსაზღვრავს ერთი ცხოველის დაზარალებასთან დაკავშირებით გაცემულ სადაზღვევო ანაზღაურებას;

სხეულის ნაწილის დაკარგვა - სხეულის ნაწილის ფიზიკური დაკარგვა ან მისი ფუნქციის სრული, მუდმივი მოშლა (რაც დგინდება **სადაზღვევო შემთხვევის** მოხდენის მომენტიდან 12 თვის თავზე).